

ViceVersa: 4. გერმანულ-ქართული მთარგმნელობითი სახელოსნო მთარგმნელთა სახლი, ლორენი — 22.-29.01.2026

ლორენისძიებას ორგანიზებას გაუწევს გერმანიის მთარგმნელობითი ფონდის პროგრამა TOLEDO.
დაფინანსებას უზრუნველყოფს გერმანიის ფედერალური მთავრობის კულტურისა და მედიის
რწმუნებული, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი, ასევე, Pro Helvetia-შვეიცარიის კულტურის
ფონდი

გიწვევთ გერმანულ-ქართული ViceVersa-მთარგმნელობით სახელოსნოში მონაწილეობის
მისაღებად, რომელიც გაიმართება 2026 წლის ზამთარში. ორივე ენიდან შეირჩევა ხუთ-ხუთი
მთარგმნელი. მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა, წარადგინონ თავიანთი ნამუშევრები
(ბელეტრისტიკა, დრამა, დარგობრივი ლიტერატურა და ესეისტიკა) და მონაწილეობა მიიღონ
დისკუსიებში. მოხარულები ვიქნებით, ვიხილოთ, როგორც გამოცდილი, ასევე დამწყები და
ახალბედა კოლეგები. მონაწილეობის პირობები: მიზნობრივი ენის სრულყოფილი ცოდნა, ასევე,
ენისა და ლიტერატურის სიყვარული. მთარგმნელებს, რომლებიც ამ ეტაპზე კონკრეტულ
პროექტზე არ მუშაობენ, სურვილის შემთხვევაში, გაეგზავნებათ საკონკურსო ტექსტი.

ერთი კვირის განმავლობაში მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა, დახვეწონ თავიანთი
თარგმანები და განიხილონ პროფესიული საკითხები. სამუშაო კვირის განმავლობაში ორივე
ჯგუფის აქტიური თანამშრომლობა ხელს შეუწყობს გერმანული და ქართული მთარგმნელების
დაახლოებას და ურთიერთობის გაღრმავებას. სამუშაო ტექსტები მონაწილეებს წინასწარ
გაეგზავნებათ; იმედი გვაქვს, რომ მონაწილეები აქტიურად ჩაერთვებიან ტექსტების კრიტიკულ
განხილვაში.

სახელოსნოს ხელმძღვანელები: რახელ გრატცფელდი, მაია ბადრიძე

მონაწილეები: ბელეტრისტიკის, დარგობრივი ლიტერატურის, ესეისტიკის და დრამატურგიული
ტექსტების მთარგმნელები გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ენებიდან.

ადგილი: მთარგმნელთა სახლი ლორენი, Looren 1, 8342 Wernetshausen, Schweiz,

ჩასვლა: ხუთშაბათი, 22.01.2026, 16.00-მდე

გამომგზავრება: ხუთშაბათი, 29.01. 2026 საუზმის შემდეგ

ხარჯები: ჩვენი პარტნიორების მიერ უზრუნველყოფილია უფასო მონაწილეობა.
გათვალისწინებულია, ასევე, კვების და ცხოვრების თანხებიც.

მონაწილეების მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება შემდეგი ფიქსირებული თანხებით:

-ჩამოსვლა შვეიცარიიდან: 100 CHF

-ჩამოსვლა გერმანიიდან და ავსტრიიდან: 150 €

-ჩამოსვლა საქართველოდან: 500 €

საკონკურსო საბუთები:

-მოკლე ბიობიბლიოგრაფია (გერმანულად, ქართულად)

- აქტუალური ტექსტის თარგმანის მაქსიმუმ 5 ნორმირებული გვერდი (ხელშეკრულება გამოცემლობასთან სასურველია, მაგრამ არასავალდებულო; 30 სტრიქონი, 60 ასო-ნიშანი ინტერვალების ჩათვლით, სასურველია სტრიქონებს შორის დიდი ინტერვალი, დანომრეთ სტრიქონები მარცხენა მხარეს: მონიშნეთ პრობლემური ადგილები)

- შესაბამისი ნაწყვეტი ორიგინალური ტექსტიდან

-ავტორის და ტექსტის მოკლე დახასიათება; შეკითხვები, რომელთა განხილვასაც ისურვებდით მუშაობის პროცესში (მაქსიმუმ, ერთი გვერდი ქართულად და გერმანულად)

-სურვილის შემთხვევაში სახელოსნოს ხელმძღვანელები მოგაწვდიან საგანგებოდ შერჩეულ საკონკურსო სათარგმნ ტექსტებს

ზემოთ მითითებული დოკუმენტები ატვირთეთ ცალ-ცალკე ფაილებად (doc, docx ან pdf - სკანირებული მასალა ადვილად უნდა იკითხებოდეს) და დაასათაურეთ:

გვარი_სახელი_ბიობიბლიოგრაფია

გვარი_სახელი_დახასიათება

გვარი_სახელი_თარგმანი

გვარი_სახელი_ორიგინალი

მონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ **სახელოსნოს მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში**.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა **2025 წლის 22 სექტემბერი**.

გთხოვთ სრული დოკუმენტაცია გამოგზავნოთ შემდეგ მისამართებზე:

რახელ გრატცფელდი r.gratzfeld@bluewin.ch, **მაია ბადრიძე** maja_badridze@yahoo.de

განაცხადის მიღების დადასტურებას მიიღებთ ელექტრონული ფოსტით.

მონაწილეთა შერჩევა დასრულდება ოქტომბრის ბოლომდე.

სემინართან და განაცხადთან დაკავშირებული კითხვებით მიმართეთ სახელოსნოს ხელმძღვანელებს:

კონკურში მონაწილე გერმანულენოვანმა მთარგმნელებმა რახელ გრატცფელდს (r.gratzfeld@bluewin.ch)

კონკურსში მონაწილე ქართულენოვანმა მთარგმნელებმა მაია ბადრიძეს (maja_badridze@yahoo.de)

